პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 29 სექტემბერი 1925 წ. წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

220 (918) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ. ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## ცვალებადელო! ემზადე ტერშეკრებათა შორის სამეცადინეოთ.

კიდევ რამოდენიმე დღე და ტერშეკრებაც დასრულდება. შეკრებაზე გამოწვეული ცვალებადელები გაეშურებიან თავიანთ სახლებისაკენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ უკვე მოიხადეს სამხედრო ბეგარა და ამ ერთი ტერშეკრებით ყველაფერი განვლეს. არა. სახლში დაბრუნებისას ცვალებადელები ითვლებიან ისევ წითელარმიელებად და შეკრებათა შორისაც განაგრძობენ გაძლიერებულ სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობას წარმოებებში და სოფლებში არსებული სამხედრო, სასროლო და სპორტიულ წრეებში.

ამიტომაც ტერ-შეკრების დასრულების მოახლოების გამო ცვალებადელთა წინაშე იჭრება შემდეგი ამოცანები:

პირველი, ეს ტერშეკრებაზე წარმოებული სამეცადინეო პროგრამის სავსებით და ნაყოფიერად განვლა. თუ რომელიმე ცვალებადელი ამ მხრივ ჩამორჩა, საჭიროა მხნედ დაეწაფოს სწავლას და რაც შეიძლება მეტი ცოდნით დაბრუნდეს სახლში.

ცვალებადელის მეორე ძირითადი ამოცანაა აქედანვე იზრუნოს თავის მომავალ მეცადინეობაზე შეკრებათა შორის. როგორც ზევით ვსთქვით, ცვალებადელის მოვალეობას შეადგენს ტერშეკრებათა შორისაც იზრუნოს თავის სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნის გაფართოვების შესახებ. ამ მხრივ საჭიროა ნაწილების მეთაურთა და პოლიტშემადგენლობამ და ტერარმიელთა აქტივმა წინასწარ გამოიმუშაოს მომავალი, ტერშეკრებათა შორის მუშაობის გეგმა. გათვალისწინებულ უნდა იქმნას ყველა სახის დაბრკოლებები, მუშაობის ყველა პირობები და სხვა. ამ მხრივ ერთგვარი გამოცდილება უკვე გვაქვს. საჭიროა მხოლოდ ამ გამოცდილების გამოყენება.

ამრიგად ტერშეკრება დასასრულს უახლოვდება.

ტერშეკრების სამეცადინეო პროგრამა სავსებით განვლილ უნდა იქნას. საჭიროა მომავალ მუშაობისათვის მზადება, როგორც მეთაურთა და პოლიტშემადგენლობისა, ისე ცვალებადელთა მხრივ.

თითეულ ცვალებადელმა კარგად უნდა შეიგნოს ის აზრი, რომ შეკრებათა შორისაც ის რჩება სამხედრო ვალდებულად და მოვალეა ყოველმხრივ ეცადოს თავის თავის გაწაფვას სამხედრო საქმეში, რომ ტერშეკრებაზე მიღებული ცოდნა მის მიერ გაფართოვებული და გადიდებულ უნდა იქმნას.

და ამ მომავალი მუშაობისათვის მზადებას ცვალებადელი უნდა შეუდგეს აქედანვე. ამაში მას ყოველმხრივ დაეხმარებიან მეთაურები და პოლიტხელები.

## შორეულ აღმოსავლეთში.

დღეს, გადახვეწილ რუს თეთრ გვარდიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შორეულ აღმოსავლეთის ჩინურ ქალაქებშია დაბანდებული, სადაც ისინი შედარებით უკეთესს პირობებში არიან, ვიდრე მათი მოძმენი ევროპის ქალაქებში. ეს ორ გარემოებით აიხსნება: მანჯურიის და ჩრდილო ჩინეთის მმართველი გენერალი ჩჟან-ძო-ლინი მილიტარისტი და მონარქისტია, და მეორეც ისა, რომ, მიუხედავათ მანჯურიის რკინის გზათა სამმართველოს მონარქისტებისაგან გაწმენდისა, იქ კიდევ ბლომად დარჩენ თეთრ გვარდიელები, რომელნიც შავრაზმელ ჩინეთის გენერლის მფარველობის ქვეშ თბილად გრძნობენ თავს.

ისინი მუდამ აქეზებდენ ადგილობრივ ჩინეთის ხელისუფლნბას საბჭოთა ადგილობრივ წარმომადგენელთა წინააღმდეგ. და თუ მათი პროვაკაცია სრულ შედეგებს ვერ აღწევდა, ჩინეთ—საბჭოთა ნორმალურ ურთიერთობას მაინც საკმაოდ ხელს უშლიდა.

დღევანდელი რადიო გვაუწყებს, რომ ქ. ხარბინის თეთრგვარდიელთა გაზეთები ცნობებს აქვეყნებენ, თითქოს საბჭოთა დიპლომატიურ შიკრიკებს ფული, ბომბები და სხვა ამაფეთქებელი მასალა მიჰქონდა ჩინეთშიო. და ისეთი მიმართულებას აღნიშნავენ, რომელიც მიემართება არა მოსკოვისაკენ, არამედ იაპონიისაკენ.

რასაკვირველია, პეკინის საბჭოთა წარმომადგენლობამ ეს ცნობა თავიდან ბოლომდის ბინძურ ჭორად გამოაცხადა.

რით აიხსნება ასეთი ხშირი და გაცხარებული კამპანიები საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ? ამას ნათლად ხსნის შემდეგი გარემოება. საბჭოთა რუსეთმა უარყო ყოველივე ვალები და ბეგარა, რომლებიც ჩინეთს მეფის რუსეთმა დაადვა, მაგრამ საბჭოთა კავშირს წილი მაინც უდევს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზებში და სწორედ ეს რკინის გზები, მანამ მას ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები მისწვდებოდა, გაიხადენ რუს მონარქისტებმა თავის ბაზად და შემოსავლის წყაროდ. სწორედ აქედან იყო, რომ თეთრგვარდიელები არდგენდენ და გზავნიდენ ათასნაირ ბანდებს და ატამანებს ციმბირის მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ 1922 წელს ძლევამოსილმა წითელმა არმიამ გასწმინდა აღმოსავლეთ ციმბირის ტერიტორია ყოველგვარ ბანდებისაგან და თავისი ხელით დაადვა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას, როგორც საბჭოთა კავშირის საკუთრებას, რადგან ის რუსეთის მშრომელ ხალხის შრომით და სისხლით არის აგებული. საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით რკინის გზების ყოფილი მეთაურნი ბოროტ-მოქმედებათათვის და სახაზინო ქონების დატაცებისათვის გადაყენებული და პასუხისგებაში იქნენ მიცემული. ცხადია რკინის გზა უნდა გაიწმინდოს დარჩენილ მონარქისტებისგან და ამიტომაცაა რომ ისინი ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ ჩვენსა და ჩინეთს შორის გაართულონ მდგომარეობა. მაგრამ, მიუხედავად იმისა რომ მათ წყალობს მონარქისტული გენერალი ჩჟან-ძო-ლინი და ადგილობრივი ხელისუფლება, ჩინეთის ხალხი აიძულებს თავის მთავრობას შეასრულოს საბჭოთა მთავრობის კანონიერი მოთხოვნილება რუს მონარქისტების გაძევების შესახებ, რადგან საბჭოთა კავშირმა ჩინეთის ხალხს დაუმტკიცა, რომ იმ დიდ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ჩინეთი აწარმოებს ევროპის და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მისი ერთად ერთი მეგობარი მხოლოდ საბჭოთა კავშირია.

უ.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა.

### ბრძოლა შანხაის პროფსაბჭოს გარშემო.

პეკინის მთავრობამ დახურა შანხაის მუშათა პროფსაბჭო. მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებამ ამოირჩია კომიტეტი და დაადგინა გამოუშვას მოწოდება, რომ ეს კომიტეტი აასრულებს შანხაის მუშათა ხელმძღვანელობას.

შანხაის მუშათა 1.000 ორგანიზაციამ გაუგზავნა მთავრობას დეპეშა, რომელშიაც სთხოვენ ახსნა-განმარტებას პროფკავშირთა საბჭოს დახურვის გამო.

### გაფიცულთა დამხმარე კომიტეტის გადახალისება.

სრულიად ჩინეთის სტუდენტთა კავშირმა მოიწვია სავაჭრო პალატისა და წვრილ ვაჭართა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც დაადგინა გადაახალისოს გაფიცულთა დამხმარე კომიტეტი და შეაგროვოს მისთვის თვიურად 1.500 დოლარი.

### კანტონის დელეგაცია შანხაიში.

შანხაიში მივიდა კანტონის დელეგაცია, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს დახვრეტილ მუშათა შესახებ შანხაიში.

## ბალკანეთის თეთრი არმიის დაშლა.

ყოფილი მეფის მთავრობის გენერალი ვრანგელი უნდა მისულიყო ახლო მომავალში ბრიუსელში (ბელგიაში), სადაც უკვე მივიდა გენერალი დენიკინი.

კომპარტიის გაზეთი „დრაპ—რუჟ“ იტყობინება, რომ ვრანგელი უკვე შლის თავის შტაბისათვის კანცელარიის მოსამსახურეებს. აქედან ცხადია, რომ დაშლილ იქნება ბალკანეთზე მყოფი თეთრი არმია.

## რუმინეთის მუშები მხარს უჭერენ ოქტომბრის რევოლიუციას.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით რუმინეთის მუშათა და გლეხთა პარტიამ მოიწვიეს მთელი რიგი კრებები.

მრეწველ მუშათა შორის კრებებზე გაისმოდა ხმები ოქტომბრის რევოლიუციის სასარგებლოდ.

## ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია მოემგზავრება საბჭოთა კავშრში.

ჩეხო-სლოვაკიიდან საბჭოთა კავშირში მოემგზავრება მუშათა დელეგაცია რომელშიაც შედის: 4 გერმანელი, 4 ჩეხის სოც.-დემოკრატი, 4 ნაციონალ-სოციალისტი, 2 დამოუკიდებელი, ერთი უპარტიო და ხუთი კომუნისტი დელეგატი. დელეგაციის წამოსვლას ხელს უშლის პოლონეთის ხელისუფლება, რომელიც არ აძლევს მას საჭირო საბუთებს პოლონეთის ტერიტორიაზე გამოსავლელად.

## რუმინულ გაზეთების ჭორები.

რუმინეთის გაზეთები ავრცელებენ ხმებს, ვითომც გალაცში აღმოეჩინოთ კომუნისტური ორგანიზაცია განყოფილებებით სხვა და სხვა ქალაქებში და თითქოს ამ ორგანიზაციისთვის ჩამოერთმიოთ აუარება პროკლამაციები. დაპატიმრებულია და გაგზავნილია გალაცაში მრავალი პირი, რომლებსაც ბრალდება კომუნისტური აგიტაცია რუმინეთის არმიასა და ფლოტში.

# საბჭოთა კავშირში

## ბალტიის ფლოტში.

ბალტიის ფლოტი დაბრუნდა მანევრებიდან ბაზაში.

ახლო დღეებში ბალტიის ფლოტი გავა ბალტიის ზღვაში საშემოდგომო მანევრებზე, რაიც გაგრძელდება 5—7 დღე.

## ამხანაგობის გადმოსახლება ჩეხო-სლოვაკიიდან სარატოვში.

ჩეხო-სლოვაკიიდან სარატოვში გადმოდის 50 მოსახლისაგან შემდგარი კომუნა.

კომუნას თან მოაქვს 20 ვაგონი ქონება, მათ რიცხვში 10 ვაგონი სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

# გლეხები მოითხოვენ ტრაქტორებს.

სომხეთის გლეხობა დიდი დაინტერესებულია ტრაქტორებით. მიწადმოქმედების კომისარიატს ტრაქტორების შესაძენად მოდის მრავალი შუამდგომლობა, რის დასაკმაყოფილებლად ხსენებული კომისარიატი სხვა და სხვა ღონისძიებას მიმართავს.

## საბჭოთა ახალი გემები.

15 ოქტომბერს ლენინგრადში ჩაშვებულ იქნება ზღვაში საბჭოთა ქარხნებში აშენებული ახალი 4 გემი: „სტალინი“ „ზინოვიევი“, „ტომსკი“ და „რუძუტაკი“.

1925—26 წელში აგებულ უნდა იქნას 31 გემი.

# ტრაქტორზე მომუშავეთა მომზადება.

1925—26 წლის განმავლობაში მომზადებულ უნდა იქნას 10.000 გამოცდილი ტრაქტორზე მომუშავე.

## სპილენძის მადნის ჩანაწოლი.

ნოვონიკოლაევსკის მხარეში, სოფელ ბეზრუკოვოს მახლობლად აღმოჩენილ იქნა სპილენძის მადნის ჩანაწოლი, რომელიც შეიცავს წმინდა სპილენძის 2 წილს.

# სასროლი კაბინეტის საქმიანობიდან.

ივნისის თვის დასაწყისში საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში გამართულ ქმნა ფართო თათბირი სასროლი კაბინეტის მოწყობის შესახებ, მოქალაქეთა გასამხედროების მიზნით. ეს დადგენილება არ დარჩა „შავით თეთრზე დაწერილი“. ის იქმნა პრაქტიკულად გატარებული ცხოვრებაში.

18 ივნისს უკვე წითელი არმიის და ფლოტის სახლთან ამუშავდა სასროლი კაბინეტი „ტირი.“ აქტივის შექმნის მიზნით „ტირთან“ ჩამოყალიბებული იქმნა 4 მუდმივი ჯგუფი სამხედრო ხელოვნების ცოდნის მიხედვით.

1-ლ ჯგუში შევიდნენ—სამხაზიანა შაშხანა [თავის მცოდნე პირები, 2-ში თოფის ცოტათი მცოდნეები, 3-ში ჯგუფში, კი სამხედრო საქმის სრულიად არამცოდნეები და 4 ჯგუფი მთლიანად ქართველებისაგან შესდგება.

მეცადინეობა ჯგუფებში მიმდინარეობს კვირაში ორჯერ ოთხშაბათობით და შაბათობით 5—7 საათამდე საღამოთი.

განსაკუთრებით ძლიერია 3 ჯგუფი, რომელსაც კარგი მომზადებული ამხანაგი ყავს ხელმძღვანელად, ისინი უკვე სასროლად გავლენ ამ მოკლე ხანში. ჯგუფებში მომეცადინეები უმთავრესათ ახალგაზრდები—კომკავშირელები, რომელნიც საუკეთესო სროლას მიეჩვიენ.

იმედია, წითელი არმიის და ფლოტის სახლის ადმინისტრაცია არ დაიზოგავს თავის ძალღონეს და ამ ღირსშესანიშნავ საქმეს მაქსიმუმ ყურადღებას მიაქცევს.

დაგო.

# დადგენილება

კომისიისა, რომლის მიერ მოწყობილ იქნა შეჯიბრება მე-6 ლეგიონსა და მე-2 არტ-ლეგიონს შორის სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

ა. წ. 27 სექტემბერს მე-6 ლეგიონის ბანაკში მოხდა მე-6 ლეგიონის და მე-2 არტ-ლეგიონის სკოლის გარეშე მუშაობის დემონსტრაცია რომლის მიზანი იყო გამორკვევა თუ რას მიაღწია ნაწილმა სკოლის გარეშე მუშაობაში ტერიტორიალურ შეკრების დროს. კომისიამ მიღებულ მასალების და შთაბეჭდილებების მიხედვით სცნო შემდეგი:

1. სასპორტო მუშაობაში, რომელიც გამოიხატებოდა ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრებაში, მე-6 ლეგიონის გუნდი სარგებლობს უპირატესობით.

2. პოლიტიკურ და სამხედრო წრეების შეფასება ვერ მოხერხდა, რადგანაც ორგანიზაციული მხარე შეჯიბრებისა ამ დარგში ორივე ლეგიონის მხრით ძალზე, მოისუსტებდა.

3. ბირთვების შეჯიბრებაში არტ-ლეგიონის ბირთვებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

4. სამხკორთა წრეების მიერ სწრაფათ შედგენილი იქნა კედლის გაზეთები. სხვა და სხვა განყოფილებათა სიმრავლე, მოკლე და წითელ არმიელთათვის საინტერესო და გასაგებ ენაზე დაწერილი წერილები და მხატვრული მხარე არტ-ლეგიონის კედლის გაზეთისა ანიჭებს პირველ ადგილს არტ-ლეგიონის წრეს.

5. დრამატიული წრეების მიერ დადგმული იქნა წარმოდგენები. მე-6 ლეგიონის წრის მიერ დაიდგა პიესა „საშინელი შურის ძიება“. დადგმა როლის შესრულების თვალსაზრისით იყო კარგი—შინაარსის მხრივ კი სრულებით შეუფერებელი თანამედროვე ცხოვრებასთან, მონაწილეობას დადგმაში იღებდა წითელ არმიელთა ძალიან მცირე რიცხვი.

არტლეგიონის წრის მიერ დაიდგა პიესა: „როს ნადიმობდენ“ როლების შესრულება მე-6 ლეგიონის წრესთან შედარებით სუსტი იყო. რაც შეეხება შინაარს აჰ მხრივ პიესა იყო მეტად დამაკმაყოფილებელი, მონაწილეობას ღებულობდა დადგმაში გაცილებით მეტი წითელ-არმიელთა მასა. ამ მხრით არტ-ლეგიონის წრის ნამუშევარი შედარებით უკეთესია.

6 ქოხ-სამკითხველოს წრეების შეჯიბრებაში, რომელიც გამოიხატა კედლის გაზეთის გამოშვებაში, მე-6 ლეგიონის წრეს მონაწილეობა არ მიუღია.

7. მომღერალთა წრეების შეჯიბრებაში არტლეგიონის წრე შედარებით უკეთესი აღმოჩნდა.

დ ა ს კ ვ ნ ა:

კომისია აღნიშნავს, რომ შეჯიბრების დროს ადგილი ქონდა ორგანიზაციულ მხარის სისუსტეს არტლეგიონის წრეების ხელმძღვანელთა მხრივ მე-6 ლეგიონი შედარებით მეტ უნარს იჩენდა ამ დარგში.

მიუხედავად ამისა ყველა წრეების მუშაობამ დაგვანახვა წითელ-არმიელთა მეტი ფართო მასის მონაწილეობა და აქტივობა არტ-ლეგიონის სკოლის გარეშე მუშაობაში, ვიდრე მე-6 ლეგიონისა.

კომისია.

# სამხედრო საქმე

## სპეციალურ გვარის ჯარების ძიება.

**რადიო—ძიება.** დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც რომ სამხედრო საქმეში შემოღებულ იქნა რადიო (უმავთულო ტელეგრაფი). მხოლოდ უკანასკნელ მსოფლიო და შემდეგ სამოქალაქო ომის დროს რადიო შემოღებულ იქნა არა მარტო კავშირის, არამედ ძიების საქმეშიაც. რადიოს საშუალებით გადაცემული ყველა დეპეშები გადაიცემიან შიფრებით, ე. ი. პირობითი ნიშნებით. ხშირად აგენტების დახმარებით და დიდძალი ფულის საშუალებით შეიძლებოდა მტრის შიფრის შეძენა და გახსნა, მაგრამ იყო აგრეთვე შემთხვევები, როცა გამოცდილი პირები დამოუკიდებლად, უშიფროდ ხსნიდენ მტრის დეპეშებს. თავისი რადიოთი მტრის რადიოდეპეშის დაჭერით (რაიც მეტად ადვილი საქმეა) მოპირდაპირე მხარე ტყობილობდა დეპეშების შინაარსს არსებული შიფრის საშვალებით ან და პირდაპირ დამოუკიდებლად ხნიდა მას. მტერს აზრადაც არ მოსდის, რომ მთელი მისი საიდუმლო ხასიათის განკარგულება და ღასმენა ესმის მტერს. ასე იყო რუსეთ-გერმანიის ფრონტზე მსოფლიო ომის დროს როცა რუსეთის რადიო-დეპეშებს იჭერდენ და კითხულობდენ გერმანელები. ამის მეოხებით, ომის დაწყებისთანავე გერმანელებმა რამოდენიმე დღეში გაანადგურეს რუსეთის ორი არმია.

ერთგვარი ხელსაწყოს გაკეთებით რადიოზე შეიძლება გაიგო, თუ საიდან იგზავნება დეპეშა. ხოლო თუ ეს ადგილი გვეცოდინება, ადვილი გასაგებია ისი, თუ სადაა დაგროვებული მტრის ჯარები.

**ქიმიური ძიება.** ყველამ იცის თუ რა ზიანი მოაქვს აირებს მათგან თავდაცვა შეიძლება, თუ რომ დროზე ჩამოიცვამ აირმსპობს. მაშასადამე საჭიროა წინასწარ იცოდე, ემზადება თუ არა მტერი აირით თავდასხმისათვის. ამისათვის ეწყობა ქიმიური ძიება.

ქიმიური ძიება (ზვერვა) თვალყურს ადევნებს მტრის მიერ აირის გამოშვებას, ეძებს და იკვლევს მტრის მიერ აირით მოწამლულ ადგილებს, და თავის დროზე ატყობინებს თავის ჯარებს საფრთხის შესახებ. გარდა ამისა ძიებამ უნდა გამოააშკარაოს მტრის აირბალონები (აირის ქურქლები), რომ ჩვენმა არტილერიამ შესძლოს მისი განადგურება. ამას გარდა ძიებამ ყოველთვის უნდა ადევნოს თვალყური ამინდს, ქარის მიმართულებას. თუ ამინდი ისეთია, რომ მტერს შეუძლია აირის გამოშვება, მაშინ მძიებელი ჯგუფი აცნობებს ჩვენს ჯარებს მოსალოდნელ საფრთხის შესახებ და პირიქით, თუ რომ ამინდი ჩვენთვის ხელსაყრელია, აცნობებს ამის შესახებ თავის უფროსს აირით მტერზე თავდასხმის მოწყობის მიზნით.

**სანაღმო ძიება.** პოზიციურ ბრძოლაში, როცა ორივე მოწინააღმდეგე მხარე მოთავსებულია სანგრებში რამოდენიმე ნაბიჯზე ერთი მეორიდან თხრიან ფარულ ორმოებს მტრის მოთავსების უბანში. ამ ორმოებში აწყობენ ნაღმს, ან დენთს, რომელსაც მერმედ აფეთქებენ. რომ არ მიეცეს მტერს საშუალება ასეთი აფეთქების მოწყობის, ან დროზე აღმოჩენილ იქნას ფარული ორმო, ამისათვის მოწინააღმდეგე ბანაკში ეწყობა მიწაში განსაკუთრებული თხრილები, რომლებშიაც მუდმივად მორიგეობენ მძიებელი—მეთვალყურეები. მიწაში ყოველგვარი ხმაურობა კარგად ისმის და მძიებელს შეუძლია გაიგოს ადგილი, სადაც სწარმოებს თხრა და განსაზღვროს კიდეც იქამდი მანძილი. აი ეს არის სანაღმო ძიება.

(დასასრული შემდეგ №-ში)

პ.

# რაზე სწერდენ და რაზე უნდა სწერონ სამხკორებმა.

ხშირად სამხკორთა წრეების ხელმძღვანელები აცხადებენ შემდეგს:

„ჩვენ ვასწავლით [სამხკორებს, თუ როგორ უნდა სწერონ. ამისათვის მიღებული გვაქვს სათანადო დირექტივებიც. მაგრამ "ამასთანავე ერთად ჩვენ არ ვიცით, როგორ და რა ვასწავლოდ მათ. თუ რაზე უნდა სწერონ“.

უპირველეს ყოვლისა, სანამ ამ საკითხზე მივსცემდეთ პასუხს, საჭიროა აქვე ავღნიშნოთ თუ რაზე სწერდენ დღემდე ჩვენი ნაწილების სამხკორები.

უნდა სიმართლე ითქვას, რომ სამხკორთა მუშაობის დარგში ბევრი რამ არის გაკეთებული ადგილებზე. (ამ მიღწევებისა და საერთო დეფექტების შესახებ დავსწერთ სხვა წერილებში). მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მუშაობის პროცესში ჩვენი სამხკორები ასე ვსთქვად, ძლიერ წვრილმანდებოდენ. შევეცდებით ამის დამტკიცებას მაგალითებით.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე რამოდენიმე ნაწილების ცხოვრებიდან ხშირად თავსდება კორესპონდენციები, წვრილმანი ხასიათისა და ერთი და იმავე შინაარსის, როგორიც არის: „არა გვაქვს საათი“, „მოგვეცით ჩაფხუტები“, „მოგვეცით ტოლაღები“, „არ გვაქვს: თუნუქის წყლის სასმისები, მაგიდები, სკამები, ცოცხი და სხ.“

ამასთანავე ერთად ბევრი ნაწილებიდან სამხკორები იწერებიან კორესპონდენციებს პარტიისა და ახკომკავშირის ცხოვრებიდან, რომელთაც აქვთ მხოლოდ და მხოლოდ ოქმის ხასიათი. აქ აღწერილია დაწვრილებით, თუ რა ილაპარაკა მომხსენებელმა. მოხსენების შემდეგ კრებამ რა დადგენილება მიიღო, ამის შესახებ კი არაფერს არ სწერენ.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ ჩვენ ამ მაგალითების მოყვანით ის გვინდა უთხრათ სამხკორებს, რომ იმათმა თავიანთი ნაწილების წვრილმან საკითხებს ყურადღება არ მიაქციონ. სრულიადაც არა. წვრილმანებზეც უნდა სწერონ, მაგრამ მთავარი არ უნდა დაგვავიწყდეს.

რას ნიშნავს ზემოხსენებული განცხადება სამხკორთა შორის მუშაობის ხელმძღვანელებისაგან? ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც სამხკორთა წრის ხელმძღვანელები, ისე თვით სამხკორებიც სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ იმ დიდ მსვლელობას მუშაობის სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულ დარგში, მიღწეულ შედეგებს ამ მხრივ და სხვა, რომელსაც ადგილი აქვს ნაწილში.

თუ სამხკორები ღრმად დაუკვირდებიან და სისტემატიურად თვალ-ყურს ადევნებენ ჩვენი ნაწილების საერთო ყოფა-ცხოვრებას და მათ საქმიანობას, იმათ საწერი მასალა უამრავი ექნებად, ისიც არა წვრილმანი და უშინაარსო ხასიათის.

დღეს ჩვენს ნაწილებში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ყოველ დარგში.

აიღეთ თუ გინდ საკითხი ტერიტორიალური ნაწილების ჩამოყალიბების შესახებ. ყველამ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტერ-სისტემის უმტკივნეულოდ და ნაყოფიერად გატარებას. ამ მუშაობის დროს ჩვენმა სამხკორებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ ამ დარგის ყოველგვარ საქმიანობას და არც ერთი ფაქტი არ დასტოვონ გაზეთში გაუშუქებელი.

გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ნაწილები საზაფხულოდ გადიან ბანაკად, საზამთროდ კი ისევ ბრუნდებიან ყაზარმებში. საჭირო იქნება სამხკორებმა ადევნონ თვალყური და სისტემატიურად აშუქონ გაზეთის ფურცლებზე, თუ როგორ ემზადება ნაწილი ბანაკად გასვლისათვის, რას აკეთებენ ბანაკად ყოფნის მთელი დროის განმავლობაში, როგორ ემზადებიან და კვლავ ბრუნდებიან საზამთრო ყაზარმებში და რას აკეთებენ აქ.

უკანასკნელ დღეებში ჩვენი ნაწილებიდან კვლავ თავიანთ [სოფლებს დაუბრუნდებიან შევებულებაში მიმავალი წითელი არმიელები. საჭირო იქნება ფართედ გაშუქდეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, თუ როგორი მზადება არის ნაწილში ამისათვის, როგორ ემზადებიან წ. არმიელები სახლში წასასვლელად, სოფლად მუშაობისათვის და სხ.

ეს მომენტი აღსანიშნავია იმით, რომ დღეს კარგად მომზადებული წ. არმიელები უბრუნდებიან თავთავიანთ სოფლებს, რომელთაც მოუხდებათ სოფლად მუშაობის გაცხოველება აღმასკომებში, გლეხკომებში, კოოპერატივებში, სამკითხველოებში და სხ.

შვებული სამხკორი სოფელში მისვლისთანავე უნდა ჩაება აქ აღნიშნულ მუშაობაში. შვებული სამხკორი აუცილებლად სოფელში უნდა იყოს გლეხკორი და ერთი წუთითაც არ უნდა სწყვეტდეს კავშირს გაზეთებთან.

ამასთანავე ერთად ნაწილში მომზადებულ უნდა იქნას სათანადო პირობები [ახალწვეულების ნაწილის საერთო საქმიანობაში და განსაკუთრებით კი სამხკორთა მუშაობაში ჩასაბმელად.

გარდა ამისა, ფართოდ უნდა გაშუქდეს გაზეთებში ჩატარებული მანევრები, კომკავშირისა და პარტიის ცხოვრება და ის მრავალი [საკითხები, რომელსაც ადგილი აქვს ნაწილის საქმიანობაში.

აი რაზე უნდა სწერდეს სამხკორი.

# ჩვენი ტერ-ნაწილების ცხოვრება და მუშაობა

მე-2 არტ-ლეგიონის ბიბლიოთეკა.



ბიბმოამუშავეები არჩევენ წიგნებს.

— ეს ორი სურათები რის მაქნისია. „ვაი უის ხმაზედ?“.

— ეგ ამხანაგო, არ გახსოვს, შაბათს რომ პირველმა ათასეულმა წარმოდგენა გამართა, კუპლეტებს რომ იმღეროდენ ვაი უის ხმაზედ?

— შემოდგომა დადგა, სიცივე მოვიდა, ღამღამობით ჩვენს შინელში სიგრილე შეგვივიდა.. ვააი.. ვააი.. და სხვა.

— ასტყდა საერთო სიცილი.

— მართლაც ამ ვერანა შინელში სიცივე შეგვდის, რაღა.

— აბა, ესეც წავიკითხოთ.

— „ამხანაგი გრიშა ამას რასა ჩადისო, ცოლი სოფლად გაუშვია, სხვა ქალებთან დადისო“.

ასტყდა საერთო სიცილი.

— ეს ორი სურათი კი ქვიანურია: „მიმავალი ტერარმიელები სოფლად“.

— მართლაც რომ ასე ვიქნებით ამ ორი კვირის შემდეგ.

— ორი კვირა... ორი კვირა...—ძალიან მძიმედ მიდის ეს კვირეები, მაჭრობა ქე წევიდა და ყურძნობა და აწი გინდ მივსულვარ და გინდა არა...

— წამოიძახა ერთმა, რომელიც შორი-ახლოს იყო ზანტათ გაჩერებული.

— აბა, ის გერჩია ჩვენსავით ორი წელიწადი რომ გემსახურა?—უპასუხა სხარტად კიდევ ერთ წითელარმიელმა.

— „მე 61 წლის თავი პირველი ინტერნაციონალის 28 სექტემბერს“.

— მართლა მშვენიერი სურათებია... კარლ მარქსი... ესეც რევოლიუციის ბელადები წითელი დროშებით.

— ყოჩაღ! ყოჩაღ!.. ეს მასმის.—ჩვენ არც კი გვახსოვდა, რომ ახლოვდებოდა I ინტერნაციონალის 61 წლის თავი.

— მართლა კარგია ეს კედლის გაზეთი, ყოველივე დღესასწაულს გვაგებთ ხოლმე, და თუ რამე მოხდა კიდევ ნაწილში არ გამოგვეპარება.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს ჩვენი კედლის გაზეთი ამდენ ცნობებს საიდან კრეფს? ვიოებ, ამის მეტი საქმე არაფერი აქვს.

რადგანაც მეკადინეობა გათავებული იყო, გაჩვენის მეთაურებმა ბრძანა იცვლებოდა 6. შემდეგ დილამდე მოსაწყობ და ჩვენი კედლის გაზეთი გამორჩეულვით დადასტურებელი ნაწილის მდებარეობა.

ვ.—დ.

# საუბარი რევოლიუციონური კანონიერებაზე.

5-თე ლეგიონში.

22 სექტემბერს ჩვენს ლეგიონს ეწვია სამხ. პროკურორი ამხ. ლორთქიფანიძე. მან მოაწყო საუბარი რევოლიუციონური კანონიერების შესახებ წითელ არმიელებში. საუბარი ყველასათვის საინტერესო შეიქნა. ამხანაგმა დაწვრილებით აღნიშნა თუ როგორ ვრცელდება რევოლიუციონური კანონების სოფლად და თუ არის ვრცელდება რა არის ამის მიზეზი. მისი თქმით სოფლად ვე კულაკებს ისეთი პირები, ამ შემთხვევაში, რომლებიც არათუ ხელს უწყობენ, პირიქით უშლიან კიდეც მათ ქესიერად გატარების საქმეს ხელს.

ამხანაგმა შემდეგ მოწოდებით მიმართა უფლება შეუფლებებში მიმდგალ წ. არმიელებს, თუ როგორ უნდა მიუდგენ ამ კანონების გავრცელების საქმეს, როგორი აგიტაცია უნდა გასწიონ, და სხვა. ამისათვის —თქვენ უკვე გაქვთ სათანადო მომზადება და პრაქტიკული გამოცდილებებიო—სთქვა ამხანაგმა, რადგანაც თუ გადავავლებთ თვალს წითელ ჯარს, დავინახავთ, რომ ეს კანონები აქ უნაკლოდ ვრცელდებაო.

თავისი საუბარი ამხ. რუსულ ენაზედაც გაიმეორა, რამეც რუსებმაც კარგა შთაბეჭდილება დასტოვა.

ამხანაგს დიდი მადლობა გადუხადეს და ცხოვრება კიდევ გაემართა ასეთი შინაარსის საუბარი ჩვენთან.

სამხკორი ახალციხელი.

# კედლის გაზეთი „ტერარმიელი“.

(მე-6 ტერლეგიონი).

— უჰ... არიქა, მივბოთ, მე-6 ნომერი კედლის გაზეთი გამოსულა—„ტერარმიელი“, აბა, შეხედე, რა კარიკატურებია, შენი ღმერთისა!—წამოიძახა ერთმა წითელარმიელმა, რომელიც ღიმილით მისჩერებოდა ახლად გამოკრულ კედლის გაზეთს, ლენ კარავის წინ ხვანგელით მოწყობილ დაფაზედ. ამ გამომცემელმა ახლომახლო მყოფი ტერარმიელები მოიხმო.

— ამას შეხედე, რავა ჩავარდნილა ცარიელი ბოთლების ხროვაში... ნეტავ ვინ უნდა იყოს ეს...—ამოიხ ახლად მოსულლე, რომელსაც თითი დაუქნევიათ ერთ სურათისაკენ, თითქოს ფიქრობსო—სანამდის არ გამოვიცნობ, არ მოვშორდებიო.

— ამას შეხედე! მატარებლიდან გადმოფრენა სცოდნია.

— იმახის მეორე ტერარმიელი.

— ეს ვინღა უნდა იყოს?..

— აი, ეს მიუა, არ გახსოვს, ამას წინად № ასეულის გადამწერი რომ ეხეტებოდა კარავში ამხ. გუ—ძეს და ჩვენი პოლიტხელი რომ შეშოვილა?

— ჰოო, მართლა, ეგ ერთი კი გამოვიცანით,...

— კ..უ..პ..ლ..ე..ტ..ე..ბ..ი—კითხულობს ერთი ამხანაგი, რომელსაც ეტყობა, ახლად უსწავლია წერა-კითხვა.

მოგვეცით სინათლე.

პირვ. ლეგ. სახალიკო.

ჩვენი ლეგიონის სასადილო კოველ მხრივ გვაკმაყოფილებს სადილებით, რომელიც სუფთად გაკეთებული, ნოყიერი და ორი თავისაგან გვეძლევა. სამწუხაროდ არის ერთი ნაკლი. ვახშმის დროს სასადილოში ბნელა. ხშირად გვიხდება ვახშმის გარედ გამოტანა და აქაც ბნელაში ჭამა.

საჭიროა კომენდანტი დროზე მიიღებდეს ზომებს და გაგვინათებდეს სასადილოს.

სამხკორი პროზა.

# მეორე ლეგიონის სამანევრო საქმიანობიდან.

მანევრებმა ჩვენი ლეგიონის წითელ-არმიელებს მეტად რომ მისცემს. ყველაფერი ის, რაც გავლილი იქნა ზამთრის პერიოდში, გადატანილი იქნა სამანევრო პირობაში.

აქ მოუშავებული იქნენ: ტაქტიკა, ადმინისტრაცია და სანიტარე საქმე. დიდი მილწევებია პოლიტიკურ დარგშიდაც. წითელ-არმიელები დაწვრილებით გაეცნენ იმ ადგილების კულტურულსა და ეკონომიურ მდგომარეობას, სადაც გვიხდებოდა მანევრების წარმოება.

ლეგიონმა ბრძოლა დაანახვა გლეხობას თუ რა არის წითელი ჯარი, რას ემსახურება ის და როგორ ებრძვის გლეხებსა და მათი ნამუშევრის დაცვის საქმეს. სწორედ ამიტომ იყო, რომ გლეხები ყველგან დიდი ამბით გვხვდებოდნენ და სიამოვნებით გვესწრებოდნენ სოფლის სხვა და სხვა მეტინგებისა საკითხების გარშემო.

ხშირად ვმართავდით მათთან ერთად გაერთიანებულ კრებებს და ვარჩევდით ყველა ადგილობრივად წამოჭრილ საქირბოროტო საკითხებს. კრებებზე შემდეგშიც ვესწრებოდით სოფლის გლეხობის, კოოპერაციის, ქოხ-სამკითხველოების, სკოლის და სხვათა მუშაობა. საერთოდ ასეთი დიდი ყურადღებით ვეკიდებოდით გლეხებს.

მანევრების დამთავრების შემდეგ ნაწილი გავჩერდა საზამთრო ყაზარმებში და ფიქრობენ აქედანაც არ გასწყვიტონ კავშირი მანევრების დროს დამოკიდებულებამდე მეფუ ზოგიერთ სოფლებთან.

სამხკორი ვ. ლეინიაშვილი.

# შეფებულთა გაცილება

## ძველებს არ ჩამოვრჩებით.

პირველი ლეგიონი.

ამ რამოდენიმე დღის წინად ჩვენი ლეგიონიდან გაშვებული იქნენ გრძელ ვადიან შვებულებაში საკმაოდ მომზადებული ამხანაგები, რომლებიც შინაურ მუშაობას შეუდგებიან სოფლად.

მთელი ლეგიონის შემადგენლობის გულისყური ამახანებში მათ მომზადების საქმეზე იყო მიპყრობილი და აქ დარჩენილ არმიელებს ცოდნა ხნით შეუფერხებლად მუშაობა. ამ ძმად ყურადღება ისეც მოგვექცეთ ჯერ არც ცხლა ჩამოუვარდებით ცოდნით უკვე შვებულებაში წასულ ამხანაგებს, მაგრამ საჭიროა რომ ჩვენი ხელმძღვანელები უფრო მეტ მომზადებს მოგვცემდენ შემოდგომის გამოწვეულ არმიელებს, რომ მეტი განათლებული ცოდნით მოვეგრათ სოფლებს და ხელი შეუწყოთ, გამოვაცოცხლოთ ამ ძმად შვებულებაში წასულ ამხანაგები საზამ დაწყებული კულტურული და სხვა მუშაობა.

სამხკორი დურბინდი.

## გავატანოთ შვებულებაში მიმავალთ საავიტაციო პიესები სოფლისთვის.

პირველ საარტილერიო ლეგიონში მანეკობის დროს მოვაწყვეთ მოძრავი აგიტორთეტრი, რომლითაც დავდიოდით სხვა და სხვა სოფლებში და ვაწოდებდით გლეხებთან საუბრებს, ვარიგებდით წიგნებს, გაზეთებს და სხვა. მაგავ დროს ხშირად გვქონდა საუბარი სოფლებში არსებულ დრამატიული წრის წევრებთან რომლებიც ერთხმად სჩიოდენ სოფლად საავიტაციო პიესების უქონლობაზე.

მართალია ასეთი პიესების ნაკლებობა საერთოდ დიდია, მაგრამ რაც მოგვეპოება ის უნდა მივაწოდოთ სოფლად მომუშავე ამხანაგებს.

ამ საქმეს საუკეთესო შვებულებში ჩვენი სამხედრო ნაწილები, თუ სოფლად მიმავალ ამხანაგებს აღჭურვავს ასეთი ლიტერატურით.

ა. არველაძე.

## სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

სკოლის მიზანია მოამზადოს ქართულ ჯარისათვის ყოველმხრივ მომზადებული და საჭირო ცოდნით აღჭურვილი პოლიტმომუშავეები.

უეჭველია, რომ საკლუბო დარგიც არ უნდა იქნეს დატოვებული უყურადღებოდ.

საკლუბო საქმის ფორმები და მეთოდები უნდა საფუძვლიანად იქნენ შესწავლილნი კურსანტების მიერ, ვინაიდან სკოლის დამთავრების შემდეგ კურსანტები საკლუბო საქმის უშუალო ხელმძღვანელები იქნებიან ჩვენს ნაწილებში.

ჩვენი სკოლის კლუბს კი არა აქვს იმის საშვალება, რომ საჭირო ცოდნა მისცეს კურსანტებს ამ დარგში.

მართალია, თეორიულად კურსანტები ეცნობიან საკლუბო მუშაობას, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა ლენინის კუთხეში, წრეებში როგორ უნდა სწარმოებდეს მასიური მუშაობა; მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა, რომ თითოეულმა კურსანტმა ცხადლივ დაინახოს საწრეო მუშაობა, თვითონ ჩაებას მის მუშაობაში, იყოს აქტიური წევრი ამა თუ იმ წრის.

ამჟამად სკოლის კლუბი იმყოფება უხერხულ მდგომარეობაში. მას არა აქვს საშუალება დააკმაყოფილოს კურსანტთა მოთხოვნილება, ვინაიდან მას არა ჰყავს არც ერთი ხელმძღვანელი. შტატში არის მარტო კლუბის უფროსი, რომელსაც აწევს მთელი სიმძიმე საკლუბო მუშაობის. ჩათრევა ლიტწრეების და სხვა ამხანაგების საკლუბო წრეების ხელმძღვანელობაში მოუხერხებელია, ვინაიდან ისინი ძლიერ დატვირთულნი არიან თავისი პირადი საქმით და დავალებებით. ამ მხრივ იყო ცდა რამდენჯერმე, მაგრამ ამ ცდებმა არ მოგვცა დადებითი შედეგები.

არა გვყავს ხელმძღვანელები სამხატვრო, დრამატიულ, სასპორტო, მოშლდელთა და სხვა წრეების. კლუბსაც არ აქვს სათანადო თანხა, რომ მოიწვიოს შესაფერისი პირები.

საჭიროა, რომ ამ გარემოებას მიექცეს შესაფერი ყურადღება, რათა საკლუბო მუშაობა სკოლაში დადგეს სათანადო სიმაღლეზე და მოგვცეს სასურველი შედეგი.

ი—ა

# პარტიული ცხოვრება

მე-6-ე ლეგიონის მე-13-ე კომუჯრედი.

25 სექტემბერს მოხდა მე-6-ე ლეგიონის მე-13-ე კომუჯრედის დახურული კრება, რომელსაც დაესწრო წევრთა უმრავლესობა და აგრეთვე კომკავშირლებიც. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება მე-14-ე პარტკონფერენციის დადგენილება გლეხობის საკითხში და რა მნიშვნელობა აქვს ლოზუნგს „პირი სოფლისაკენ“. 2. ასეულების ბიბლიოთეკების მუშაობის აღრიცხვა. 3. აჯეტების განხილვა და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხზე ქართულად მოხსენებით გააკეთა კურსანტმა ამხ. რ. კორიძემ და რუსულად კი ამხ. მიბ-გაბმამ ვკაზაძემ. მოხსენებებმა ნათლად გაგვიშუქეს გლეხობის დღევანდელი კულტურული ეკონომიური მდგომარეობა სოფლად. ამხანაგები სრულიად შეეხნენ აგრეთვე იმას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლოზუნგს „პირი სოფლისაკენ“.

იყო მრავალი შეკითხვები.

ასეულების ბიბლიოთეკების მუშაობის აღრიცხვა დამაკმაყოფილებლად აღინიშნა.

შემდეგ განხილული იქნა განცხადებები. მიღებული იქნა ერთი და ორი კომკავშირიდან გადაირიცხენ პარტიის წევრებად.

რ. კორი.

# ნაწილების წერილებიდან.

### სანიტსაათი 5 თე ლეგიონში.

ლეგიონის მესაკრავეთა გუნდში სექტემბრის შუა რიცხვებში ჩატარებული იქნა საუბარი სანიტარული მდგომარეობაზე.

ექიმი დაწვრილებით შეეხო ყაზარმისა და სოფლად, ოჯახში ცხოვრების პირობებს. დაწვრილებით აღნიშნა ყაზარმაში უარყოფითი მოვლენები სანიტარიის მხრივ და მათთან ბრძოლის საშვალებები.

ექიმი შეეხო აგრეთვე სოფლად სისუფთავისათვის დაცვის საჭიროებას და მრავალი სხვა. მოხსენება იმდენად საინტერესო იყო, რომ აუარება შეკითხვები გამოიწვია. კარგი იქნება ასეთი მოხსენებები ხშირად მოეწყობოდეს. არმიელებს ის, მეტად აინტერესებთ.

სამხკარი ახალციხელი.

### კინო სურათები არმიელთათვის.

5-თე ლეგიონი.

15 სექტემბერს ქალაქის ცირკში 5-თე ლეგიონის წ. არმიელებისათვის გაშვებული იქნა კინო სურათები, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგებზე.

საჭიროა ყურადღება მიექცეოდეს ერთ გარემოებას. სურათების რუსული ნაწერები, რომ გაუგებარი არ დარჩეს ქართველ არმიელებისათვის, კარგი იქნება, რომ ვინმე კითხულობდეს და ხმამაღლა თარგმნიდეს ქართულად. მაშინ უფრო კმაყოფილი დარჩებიან ამხანაგები.

სამხკორი თ—26.

### მოგვეცით კოვზები.

ცხენოსანი ლეგიონი.

ცხენოსანი ლეგიონის პირველ ესკადრონში წითელ არმიელები დიდი უკმაყოფილო არიან მით, რომ სადილობის დროს არ გვაძლევენ კოვზებს. ხშირად გვიხდება პირდაპირ ჯამებიდან ჭამა. სწორედ ამის გამო სხვა ესკადრონები ყოველთვის გვასწრებენ სადილის გათავებას.

საკვირველია, რად შევადგენთ ჩვენ გამონაკლისს? თუ სხვა ესკადრონებს აქვთ კოვზები, ჩვენ რა დავაშავეთ?

მოგვაქციეთ ყურადღება, მოგვეცით კოვზები.

წ. არმ. წყარო.

# ამბები სოფლებიდან

**წყალსადენის გამოყვანა.**

ტყვიავის თემალმასკომმა გადასწყვიტა გამოიყვანოს წყალსადენი სოფელ ფლავში (გორის მაზრაშია).

**სანერგეს მოწყობა.**

სიღნაღის ალმასკომმა გადასწყვიტა, სოფ. გურჯაანში, ჯორჯაძისეულ მამულში გააკეთოს სანერგე.

**საგადასახადო პუნქტები.**

გორის სამაზრო ალმასკომმა დაადგინა მაზრის ზოგიერთ ადგილებში დაარსოს საგადასახადო პუნქტები, რომ გლეხებს აგება.

უფრო გაუადვილდეთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანა.

**დამხმარე საზოგადოება.**

ქუთაისში დაარსდა ურთიერთ დამხმარე საზოგადოება, რომელიც დახმარებას გაუწევს წვრილ ვაჭარ-ხელოსნებს.

**ჰიდრო ელსადგური ონში.**

საქ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილათ და საჭიროთ სცნო ქალაქ ონისათვის ჰიდრო ელსადგურის

# ახალი ამბები.

— სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს, წელს მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა გადასცა 856 დესეტ. მიწა.

— სავაჭრო დაწესებულებების აღრიცხვა. საქ. სტატისტიკური სამმართველოს საფინანსო-სავაჭრო და კოოპერაციის განყოფილება შეუდგება სავაჭრო დაწესებულებათა აღრიცხვას.

საინვალიდო სახლებში. უზრუნველყოფის კომისარიატის საინვალიდო სახლებში ა. წ. 1-ლი სექტემბრისათვის მოთავსებული იყო 229 შრომის უნარდაკარგული.

— გაძლიერებული პენსიები. საქ. სოც.-უზრ. სახ. კომისარიატიდან ამჟამად გაძლიერებული პენსია ეძლევა 236 რევოლიუციის წინაშე დამსახურებულთ.

— ვაზის ჯიშების აღდგენა. მიწ.-მოქ. კომისარიატი შეუდგა დასავლეთ საქართველოში წინეთ განთქმულ ვაზის ჯიშების შეგროვებას მათი აღდგენის მიზნით.

— მეაბრეშუმეობის კურსები. ტფილისის საბრეშუმო სადგურთან არსებულ კურსებზე ოქტომბრისლიდან იწყება.

— დასასვენებელ სახლების შესანახათ სოცდაზღვევის სამმართველომ გადასდო დამატებით 5,249მან-

— მივლინება რუსეთში. დამზღვევი კასა აგზავნის თავის წარმომადგენელს მოსკოვსა, ლენინგრადსა და როსტოვში, იქ დაზღვევის საქმესთან გასაცნობათ.

ფუტკრის ავადმყოფობასთან. საბრძოლველათ მიწათმოქ. სახ. კომისარიატს განზრახული აქვს გადასდოს 3 ათასი მანეთი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ელექტრონები.**

მეცნიერების უკანასკნელი გამოკვლევანი გვეუბნებიან, რომ ყველა ნივთიერებათა ატომები (პატარა-თვალით შეუმჩნეველი ნაწილაკები) თავის მხრით შესდგებიან პატარა ბირთვებისაგან— რომლებიც დატენილი არიან ე. წ. დადებითი ელექტრონობით. ამ ერთი დადებითი ელექტრონობის ბირთვის გარშემო ატომში მოძრაობს 1—92 უარყოფითი ელექტრონები. (აქედან ატომი შემდგარი ყოფილა ელექტრონებისაგან).

ეს ელექტრონები მოძრაობენ ისევე და იმ წესით, როგორც მოძრაობენ მზის გარშემო ჩვენი დედამიწა და სხვა პლანეტები.

წარმოუდგენელია ადამიანის გონებისათვის ელექტრონების მოძრაობის სიჩქარე. მეცნიერული გამოკვლევით ის უდრის წუთში (სეკუნდა) 4000-200,000 კილომეტრს. სხვანაირად, რომ ვსთქვათ, ყველაფერი, რაც კი ჩვენს გარშემო იმყოფება, ისევე, როგორც ჩვენ, წარმოადგენენ მილიონჯერ—მილიონ პაწაწკინტელა ქვეყნებს და თითეული მათგანი იმდენად ნაკლები—უფრო პატარა ქინძისთავის თავზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ნაკლებია მთელ დედამიწაზე.

ატომის ცენტრალური ნაწილი-ბირთვი შეიძლება შევადაროთ-მზეს, ხოლო ელექტრონები კი მის გარშემო მოძრავ პლანეტებს. როგორც მზის გარშემო მოძრავი პლანეტები ემორჩილებიან განსაკუთრებულ კანონებს სივრცეში ქროლვის დროს, ისევე ეს ელექტრონები ექვემდებარებიან განსაზღვრულ კანონებს და მიიზდებიან ცენტრალურ ბირთვისაკენ, როგორც მზე იზიდავს პლანეტებს.

იმის გამოსარკვევად ან წარმოსადგენად, თუ რამდენად პატარა ნაწილია ატომი ნივთიერების, საინტერესოა ერთი მეცნიერი ბორის აზრი.

ის ამბობს: რომ შესაძლებელი შეიქნეს წყალბადის (წყლის შემადგენელი ნაწილია) ატომისაგან შემდგარი რაოდენობის თვალით დანახვა: საჭიროა ავიღოთ წყალბადის ერთი მილიონი—ტომი, გადავამრავლოთ ის კიდევ ერთ მილიონზე და მიღებული ნაწარმოები გადავამრავლოთ კიდევ ერთ მილიონ ატომზე—მხოლო ამის შემდეგ შეგვიძლია წყალბადის ისეთი რაოდენობის მიღება, რომელიც დაინახება თვალით ანდა შეიძლება მისი აწონა.

შემდეგში საუბარი გვექნება იმის შესახებ, თუ, რომ ყველა ნივთიერება ატომებისაგან შესდგება და ესენი კი თავის მხრივ ელექტრონებისაგან (ელექტრონები კი ყველა ერთნაირი არიან—დადებითი და უარყოფითი) როგორ ხდება, რომ ნივთიერებანი თვითონ სხვა და სხვანაირი არიან, მაგალითად სპილენძი, რკინა, ოქრო, წყალბადი და სხვა.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** უვადო შვებულებაში მიმავალ უმცროს მეთაურს ეძლევა სამი თვის ჯამაგირი თუ არა?

უმცროსი მეთაური—რი.

**პასუხი.** თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 1288 ზედმეტ სამსახურში დარჩენილ უმცროს მეთაურებს, რომლებიც იმსახურებენ ორ წელს ეკუთვნით ერთი თვის ჯამაგირი, ოთხ წელს—ორი თვის და 6 წელს—სამი თვის ჯამაგირი.

**კითხვა.** მე ვმსახურებ 1 ლეგ. პირველ ბატარეიაში. ტანისამოსი მივიღე გარდა შარვლისა, რადგან იმ დრო ის როცა დაარიგეს მე საავადმყოფოში ვიწექი. მეკუთვნის თუ არა შარვალი?

წ. არმ. გოლოშვილი.

**პასუხი.** გეკუთვნით, თუ დახეულია თქვენი შარვალი.

**კითხვა.** უვადო შვებულებაში მიმავალ წ. არმიელებს მიეცემათ თუ არა ის მაზარა, რომელიც მიღებული აქვთ პირველად.

**პასუხი.** მოგეცემათ ტარების ვადა გასული მაზარა.

**კითხვა.** მუშფაკში მსმენელებათ მივლინებული წ. არმიელები თავისუფლდებიან თუ არა განწესებიდან?

წითელ-არმ. ვ. ვ.

**პასუხი.** საერთო წესით არ თავისუფლდებიან.

**კითხვა.** ვარ ლეგიონში ფიზკულტურის ინსტრუქტორი ჯამაგირს ვღებულობ მეოთხე ხარისხით მერგება თუ არა ჯილდო 10 მანეთი გათვალისწინებული რევ. სამხ. საბჭოს № 520 ა. წ. ბრძანებით.

**პასუხი.** ეს ბრძანება ეხება მხოლოდ მეთაურთა შემადგენლობას თქვენზე იგი არ ვრცელდება.

**კითხვა.** გთხოვთ მიპასუხოთ ჩვენ ვართ ორი ძმა ორივე მოწაფე. მე ვმსახურებ ჯარში ჩემი ძმა კი სწავლობს, ვართ უდედ-მამო. დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ დაგვრჩა ეზოს მიწა რვაას კვადრატი არშინი, მეტი არასფერი არ გვაქვს. ვცხოვრობთ ქალაქში. ამ ჟამათ განვიცდით დიდ გაჭირვებას გვაქვს თუ არა ნება ამ ადგილის გაყიდვისა?

წით. არმიელი ს—ძე.

**პასუხი.** მიწაზე სარგებლობის უფლება შეგიძლიათ გადასცეთ სხვა პირს ადგილობრივ ალმასკომის ნებართვით.

**კითხვა.** მე ვარ გამოწვეული 1924 წელში მაისიდან ვმსახურებ დღემდე ჯარში. ჩემ გამოწვევის დროს ე. ი. ექვსი თვის შემდეგ გაიყარნენ ჩემი ძმა და ჩემი ბიძა. ჩემი წილი რასაც სინამდვილეს შეეხება ჩემ ძმასთან არის. ამხანაგო რედაქტორო ერთი უნდა ის რომ გაიყარნენ შემოდგომაზე იმ წლისა ღვინო, მატყლი და ყველი არ მომცეს არც ზედმეტი მომცეს, საქორწილო რომ იციან. მერგება თუ არა თუ მერგება ვის მივმართო, მიპასუხე ამაზე.

წ. არმ. თედორე რუაძე.

**პასუხი.** საჩივარი უნდა აღძრულ იქნას 3 წლის ვადაში. თუ თქვენი კუთვნილი თანხა აღემატება 500 მან. საჩივარი უნდა შეიტანოთ ოლქის სასამართლოში, და თუ ნაკლებია ადგილობრივ სახალხო სასამართლოში.

**კითხვა.** მე შევირთე ცოლი 1924 წლის 1-ლ ნახევარში, რომელიც ჩემი ოჯახობის მამას ერთი კაპეიკი არ დახარჯვია იმ დროს, როდესაც მე შევირთე, ეს იმიტომ რომ სიყვარულით გამომყვა მამის ნება დაურთველათ. მზითვზე ჩვენ იმ დროს, არაფერი გვითქვამს. ჩემი სიმაური სოფლის მდიდარი გლეხია, ყავს ერთი ვაჟი სტუდენტი. მეტი არავინ ოჯახში. შეუძლია თუ არა ჩემმა ცოლმა მოთხოვოს მამას და ძმას თავისი ნაწილი და ძმას რომ გააქვს ოჯახიდან ძმური, ნაწილი ისთე თუ დას ერგება.

კურსანტი ვ. ლოლომაძე.

**პასუხი.** თანახმად საქართველოს რევკომის 1921 წ. № 28 დეკრეტისა დედ-მამის სიცოცხლეში სრულ წლოვან შვილებს, თუ ისინი უნარ მოკლებული არ არიან, არავითარი უფლება არ აქვთ დედ-მამის ქონებაზე.

# განცხადებები

თანახმად თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის სექციის ბიუროს ა. წ. 17 სექტემბრის სხდომაზე მიღებულ დადგენილებისა, ცხადდება ბიუროსა და ქვე-სექციის წევრთა საყურადღებოდ, რომ სხდომები დანიშნულია ყოველ კვირაში შაბათობით დღის 12 საათზე, ხოლო ქვე-სექციის სხდომები-ყოველ ხუთშაბათს საღამოს 7 საათზე.

ჯანმრთელობის განყოფილება.

შაბათს, 29 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე მე-2 დივიზიის შტაბის შენობაში შესდგება შტაბის და მასთან შეერთებულ ზურგის სამხედრო დაწესებულებების

## სამხედრო-სამეცნიერო წრის მორიგი მეცადინეობა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

ამხ. დ. მეჟაძის მოხსენება: სამხედრო ხელოვნების ისტორია.

წევრთა დასწრება აუცილებელია. თხოვნაა ამხანაგებმა არ დაიგვიანონ.

სამხედრო სამეცნიერო წრის თავმჯდომარე მარკაროვი.

მდივანი ბამრეკლიძე.

**დაიკარგა** სამხედრო აღრიცხვისა და პირადობის მოწმობები თბილისის 12 უბნის კომისარიატიდან გაცემული ისაკი ალექსისძე ბუაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** მეორე არტლეკიისის შტაბიდან გაცემული მოწმობა № 980 კლუბის უფროსის ალექსანდრე ვლადიმერის-ძე კალანდაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.